

ქალები საქართველოს სამსახურში



წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი რომელიმე წევრი ორგანიზაციის ან გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის ოფიციალურ პოზიციას.

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერ.

ტექსტი: ნინო ნატროშვილი (გაეროს ქალთა ორგანიზაცია)

ფოტო: გიორგი გრძელიშვილი (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო)

ანდრო ოსადჩიევი (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო)

დიზაინი: თეონა წამალაშვილი

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022 წელი

ყველა უფლება დაცულია.

ქალები საქართველოს სამსახურში

გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქართველო, 2022 წელი



ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას თავდაცვის ძალებში ქალების ჩართულობის გაზრდა, მათი მხარდაჭერა და კარიერული წინსვლა წარმოადგენს. გაეროს ქალთა ორგანიზაცია 10 წელზე მეტია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან პარტნიორობით, უწყებაში გენდერულ მენისტრიმინგზე აქტიურად მუშაობს. ეს თანამშრომლობა, სხვა საკითხებთან ერთად, თავდაცვის ძალებში ქალების წარმოჩენასა და მათი წვლილის აღიარებას გულისხმობს. წარმოდგენილი პუბლიკაციაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ბროშურაში გაერთიანებულია 13 სამხედრო მოსამსახურე ქალის ბიოგრაფიული ისტორიები, მათი გამბედაობის, სიმამაცის, ბრძოლისა და თავდადების ამბები. ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქალებს საქართველოს თავდაცვის სამსახურში.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მადლობას უხდის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პუბლიკაციის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის და დიდი ბრიტანეთის მთავრობას მუდმივი მხარდაჭერისთვის.

კაორი იშიკავა

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში

“ გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ძალიხმევა ქალთა გაძლიერების ყველა ასპექტზეა მიმართული. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების მხარდაჭერაა.

თანასწორი შესაძლებლობების პირობებში, ქალები ინსტიტუტებს ტრანსფორმაციულად ცვლიან. ეს პუბლიკაცია საქართველოს თავდაცვის ძალებში ქალების ეფექტიან მონაწილეობას უსვამს ხაზს და წარმოაჩენს იმ წვლილს, რომელიც მათ ქვეყნის სამსახურში შეაქვთ”.

ჯუანშერ ბურჭულაძე

საქართველოს თავდაცვის მინისტრი

“ ჩვენ ვაფასებთ და მხარს ვუჭერთ ქალისა და კაცის თანაბარ უფლებებს, თავისუფლებებსა და შესაძლებლობებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ქალთა მნიშვნელოვანი მონაწილეობა განაპირობებს ძლიერ და წარმატებულ თავდაცვის ძალებს”.

ელენ ვიხმანი

საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს პროგრამების ხელმძღვანელი

“ შეიარაღებული ძალები მთელ მსოფლიოში კაცების მიერ დომინირებულ სფეროდ რჩება. ქალები შეიარაღებულ ძალებში ემოციური დაშინების, სექსუალური შევიწროებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლები ხდებიან, რაც ტრავმასა და სამხედრო კარიერის შეუსრულებელ პოტენციალს იწვევს.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა მონოდებულია, რომ დაძლიოს ის დისკრიმინაცია, ძალადობა და უთანასწორობა, რაც ქალებს აფერხებს. ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობას, რათა გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, საქართველოს თავდაცვის ძალებში ეფექტიანი მექანიზმები დაინერგოს”.



„სამწუხაროდ, სამხედრო ქალებს სულ უნევთ საკუთარი შესაძლებლობების მტკიცება და ჩვენება, რომ კარიერასა და ოჯახს შორის ბალანსის დაცვა შეუძლიათ“.

ვიცე-კოლკოვნიკი
თამარ ქიტიაშვილი

გენერალური შტაბის ნატოს ქვერეგისტრი, უფროსი ოფიცერი

47 წლის თამარ ქიტიაშვილი პირველადი პროფესიით იურისტია, ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ინფორმატიკაში, 2011 წლიდან კი ამ ცოდნას საქართველოს თავდაცვის ძალების სამსახურში იყენებს.

„ვალდებულებას, რომელიც ნებისმიერ ადამიანს საკუთარი ქვეყნის წინაშე აქვს, ყოველთვის ვაცნობიერებდი. როცა პროფესიიდან გამომდინარე, შესაძლებლობა მომეცა, თავდაცვის ძალების ნაწილი გაგვმხდარიყავი, გადამწყვეტილებაც ამ ფაქტორმა მიმაღებინა:

მინდოდა, ცოდნა და შესაძლებლობები სამშობლოს სამსახურისთვის გამომეყენებინა, მცმოდა სამხედრო ფორმა და ჩემი ქვეყნის დამცველთა რიგებში ვყოფილიყავი“, - ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი თამარ ქიტიაშვილი.


ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ, რომ თავდაცვის ძალებში სამსახურს ვერ შეძლებდა და სწავლის პროცესი რთული იქნებოდა, თუმცა თამარისთვის განსხვავებული შეხედულებების მოსმენა მათ ბრმად მინდობას არ ნიშნავდა. სამხედრო კარიერული ზრდისთვის საჭირო ყველა საფეხური გაიარა: სანყის-საბრძოლო კურსს ჯერ კაპიტნის საკარიერო კურსი მოჰყვა, შემდეგ კი — სამეთაურო-საშტაბო, რომელმაც მოტივაცია კიდევ უფრო აუმაღლა.

ამჟამად გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საიდუმლო რეჟიმის დაცვისა და ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის ქვერეგისტრის სამმართველოს უფროსი

ოფიცერია. ვიცე-პოლკოვნიკ ქიტიაშვილის ძირითადი მოვალეობა ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის მიღება, მისი უსაფრთხოების დაცვა და შემსრულებლებამდე დაყვანის ორგანიზებაა.

„სამწუხაროდ, სამხედრო ქალებს სულ უწევთ საკუთარი შესაძლებლობების მტკიცება და ჩვენება, რომ კარიერასა და ოჯახს შორის ბალანსის დაცვა შეუძლიათ“, - ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი.

თავად ორი შვილი ჰყავს: ნიკოლოზი და იოსები. ნიკოლოზი ვადეტთა სამხედრო ლიცეუმის ვადეტია, იოსები კი — ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის სტუდენტი. დედას პროფესიები აირჩიეს და ამ გადაწყვეტილებითაც აჩვენეს, რომ თამარის კარიერა, რომელიც მუდმივი განვითარებისკენაა მიმართული, მათთვისაც სამაგალითოა.



“ მინდოდა, ცოდნა და შესაძლებლობები სამშობლოს სამსახურისთვის გამომეყენებინა, მცმოდა სამხედრო ფორმა და ჩემი ქვეყნის დამცველთა რიგებში ვყოფილიყავი“.



“*ყოველდღე, როცა ფორმას ვირგებ და სახლიდან გამოვდივარ, სიამაყის გრძნობა მაქვს. ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო მისაბაძი მომავალი თაობისთვის და მათ საკუთარი მაგალითით ვუთხრა, რომ ქალები ძლიერი სამხედროები, ქვედანაყოფის მეთაურები და ლიდერები არიან”.*

ვიცე-კოლკოვნიკი
თამარ მღებრიშვილი

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელების მხარდამჭერი განყოფილების უფროსი

თამარი 7 წლის იყო, როცა დედამ რუსთაველის გამზირზე, მიტინგზე წაიყვანა. სცენაზე ასვლა უნდოდა, მაგრამ მოულოდნელად დედა მეგობარს შეხვდა, რომელმაც ურჩია, ბავშვი იქაურობისთვის გაერიდებინა. იმ დამეს საბჭოთა ჯარისკაცებმა თბილისში მშვიდობიანი მიტინგი დაარბიეს. თამარმა და დედამ ძლივს გაასწრეს. „9 აპრილის“ მძიმე ტრაგედია, ის ემოციები მეხსიერებაში სამუდამოდ დამეღეჭა. ვფიქრობ, ჩემი არჩევანი — ფორმით ვემსახურო

ჩემს ქვეყანას — ამან განაპირობა“, - იხსენებს ვიცე-პოლკოვნიკი თამარ მღებრიშვილი.

თავიდან იურისტობა უნდოდა, მაგრამ მამას ნათქვამმა, „იურიდიული რა ქალის საქმეაო“, გადანყვეტილება შეაცვლევინა. დასავლეთევროპული ენების ფაკულტეტზე ჩააბარა, თუმცა მალევე მიხვდა, რომ მისი საოცნებო პროფესია სხვა იყო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სურვილი მაინც აისრულა და დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსზე ქვეითის სპეციალობით ჩააბარა.

„ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის დროს ამბობდნენ ხოლმე, ქვეითზე ქალს რა უნდაო. შემდეგშიც, როცა პოზიციებზე გადანაწილების დრო მოვიდა, ბრიგადის მეთაურს სურდა, საშტაბო პოზიციაზე დავენიშნე. გადანყვეტილება ჩემი მტკიცე პასუხის „მე ქვეითი ვარ“ შემდეგ შეცვალა. ასე გავხდი ოცმეთაური და ოფიცერი ქალი, რომელიც დიდი სამხედრო ოჯახის სრულუფლებიანი წევრის მოვალეობას უშუალოდ ველზე ვასრულებდი“, - იხსენებს თამარი.

ოცმეთაურობას — ასმეთაურობა, ბატალიონში სამსახურის უფროსობა და ბრიგადის შტაბის დაგეგმარების ოფიცრობა, ამერიკაში კარიე-

რული სასწავლო კურსები და ავღანეთში ორი სამშვიდობო მისია მოჰყვა. თამარმა ქვეით ბრიგადაში 9 წელი იმსახურა, მოგვიანებით კი ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) სწავლებების დაგეგმვის ოფიცრის პოზიცია დაიკავა. დღეს 39 წლის ვიცე-პოლკოვნიკი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელების მხარდამჭერი განყოფილების უფროსია. მისი საქმიანობა ქართველ და ნატოელ ლიდერთან ყოველდღიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს, რათა საბოლოო შედეგის მისაღწევად, თითოეული საფეხური თანმიმდევრულად და დროულად შესრულდეს.

„ყოველდღე, როცა ფორმას ვირგებ და სახლიდან გამოვდივარ, სიამაყის გრძნობა მაქვს. ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო მისაბაძი მომავალი თაობისთვის და მათ საკუთარი მაგალითით ვუთხრა, რომ ქალები ძლიერი სამხედროები, ქვედანაყოფის მეთაურები და ლიდერები არიან. მთავარი პროფესიონალიზმია და არა — სქესი“, - ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი მღებრიშვილი და დაკისრებული მოვალეობის შესრულებას სრული შემართებით აგრძელებს.





“ ვმსახურობ სტრუქტურაში, რომელიც ქვეყნის ძლიერების სიმბოლოა, როგორ არ უნდა ვიამაყო?”

ვიცე-კოლოკონიკი

ანა ლუკავა

თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე-გენერალური შტაბის უფროსის უფროსი თანაშემწე

49 წლის ანა ლუკავა თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე-გენერალური შტაბის უფროსის უფროსი თანაშემწეა.

ანა აფხაზეთიდანაა, გულრიფშის რაიონის დაბა დრანდიდან. უკვე სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როცა **ომი**** დაიწყო და იძულებული გახდა, თავი თბილისისთვის შეეფარებინა. „3 წელი ახლობლის ოჯახში ვიცხოვრე. ყოველდღე იმ იმედით ვიღვიძებდი, რომ მშობლიურ კუთხეს დავუბრუნდებოდი, თუმცა ეს ბედნიერი წუთები დღემდე არ დადგა“, - ამბობს ანა.


1995 წელს ანამ მუშაობა აფხაზეთის სამთავრობო დაცვაში დაიწყო და მალევე ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდებაც მიიღო. ადრეულ ასაკში შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე, მით უმეტეს სამხედრო ფორმასა და ჩინზე, საერთოდ არ ფიქრობდა. ეგონა, ჯარში ქალები მხოლოდ მედდები და ექიმები იყვნენ, თუმცა ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. უკვე სახელმწიფო დაცვის კაპიტანმა, 2004 წელს თავდაცვის ძალებში გადასვლა გადაწყვიტა და პირველად სურვილი მეუღლეს გაუზიარა.

„ჩემი ქმარი პროფესიით სამხედრო მეზღვაური და წოდებით პირველი რიგის კაპიტანია. მაშინ ისიც შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. ამ გადაწყვეტილებას დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია. თუმცა, მერე, როცა პოლიგონზე მივდიოდი და მეთაურმა უთხრა, მცირეწლოვანი შვილების დედა თვეობით აქ ყოფნას როგორ შეძლებსო, მხარი დამიჭირა. ვიცოდი, რომ აქ ყველაფრისთვის მზად უნდა ვყოფილიყავი: ველზე გასვლა იქნებოდა ეს,

კარავში ცხოვრება, სწავლებები, სროლები თუ ომი. სხვათა შორის, დედას თანადგომა რომ არა, არ ვიცი, როგორი კარიერა მექნებოდა“, - ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი.

კარიერის განმავლობაში საკუთარი პროფესიის შესახებ ბევრი სხვადასხვა აზრი მოუსმენია. შეხვედრია იმ კაცებს, რომლებისთვისაც სამხედრო ქალი მიუღებელი იყო და იმათაც, ვინც ჯარში ყოფნის მსურველებს სქესის მიხედვით არ ასხვავებდა. ანა ფიქრობს, რომ ახლა სამხედრო სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების ნაკლებობაა, თუმცა ამ პროფესიის დაუფლების მსურველი გოგოების რიცხვი იზრდება, რაც მისასალმებელია.

„ვმსახურობ სტრუქტურაში, რომელიც ქვეყნის ძლიერების სიმბოლოა, როგორ არ უნდა ვიამაყო?“- აღნიშნავს ანა. ზღვრული ასაკის გამო, მისი სამხედრო კარიერა მალე დასრულდება, თუმცა ამბობს, რომ ჯარში გატარებული წლებით სიცოცხლის ბოლომდე კმაყოფილი იქნება.





“ გადაწყვიტე, სურვილი ამესრულებინა, საკუთარი თავი რადიკალურად განსხვავებულ სფეროში გამომეცადა და დამემტკიცებინა, რომ დიახ, ქალები ძლიერები ვართ და ჯარში სამსახური შეგვიძლია”.

რიზითი

ანა ლეკვეიშვილი

მეტყვიამფრქვევე

სკოლის დამთავრების შემდეგ ანა ლეკვეიშვილმა ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონეღლეულის კვების ტექნოლოგიისა და ექსპერტიზის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ პროფესიული პროგრამებიც ამ მიმართულებით გაიარა, თუმცა 2021 წელს კარიერის გზა რადიკალურად შეცვალა და საქართველოს თავდაცვის ძალებს შეუერთდა.

ერთი შეხედვით, ანას გადაწყვეტილება გასაკვირი არც იყო. ის სამხედრო ოჯახში იზრდებოდა, ჯარის სიყვარული და პატივისცემა კი

ბავშვობიდან მოჰყვებოდა. „სინამდვილეში ამ საქმეზე ვოცნებობდი. ერთხელაც გადავწყვიტე, სურვილი ამესრულებინა, საკუთარი თავი რადიკალურად განსხვავებულ სფეროში გამოემეცადა და დამემტკიცებინა, რომ დიას, ქალები ძლიერები ვართ და ჯარში სამსახური შეგვიძლია“, - ამბობს ანა.


მიუხედავად იმისა, რომ მშობლებისთვის სამხედრო საქმე კარგად ნაცნობი იყო, ანას გადამწყვეტილება მათთვის მაინც რთულად მისაღები აღმოჩნდა. „არ უნდოდათ გოგო ჯარში. აქეთ-იქიდანაც სულ მესმოდა, რომ ქალის ადგილი იქ არ არისო, მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. ჩემით ყველაზე მეტად ოჯახი ამაყობს და უდიდეს მოტივაციას მაძლევს, რომ არ გავჩერდე და კარიერულად გავიზარდო“, - ამბობს ანა.

24 წლის ანა ახლა მე-5 საარტილერიო ბრიგადის 51-ე საარტილერიო ბატალიონის II 152 მმ-იანი „მსტა“-ს ბატარეის I საცეცხლე გათვლის ნომრის თანამდებობაზე მუშაობს. მისი მოვალეობა ქვემეხებთან მუშაობა და თეორიულ თუ პრაქტიკულ სწავლებებში მონაწილეობის მიღებაა.

ანა რთულ საქმეს ასრულებს და საკუთარ თავს ყოველდღიურად უმტკიცებს, რომ იმაზე მეტი შეუძლია, ვიდრე ჰგონია. „ჩემთვის საქართველოს სამსახურში ყოფნა დიდი პატივია. აუცილებლად გავხდები ოფიცერი და კარიერულ წინსვლასაც ამ რანგში გავაგრძელებ“, - ამბობს ის.



“ ჩემით ყველაზე მეტად ოჯახი ამაყობს და უდიდეს მოტივაციას მაძლევს, რომ არ გავჩერდე და კარიერულად გავიზარდო“.



“სამხედრო ცხოვრებას შვილივით გამოვზარდე და თავისი სიკეთეებითა თუ სირთულეებით ის ჩემთვის ძალიან ძვირფასია. დღეს რომ პროფესიას ვირჩევდე, ისევ სამხედრო კარიერაზე შევჩერდებოდი”.

ვიცე-პოლკოვნიკი ეკატერინე ხარაშვილი

ადამიანური რესურსების პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე

20 წლის წინ, როცა ეკატერინე ხარაშვილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობას თარჯიმნად იწყებდა, ვერც წარმოიდგენდა, თუ სამხედრო სფერო ისე მოხიბლავდა, რომ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ჩააბარებდა, კარიერას ოფიცრის რანგში გააგრძელებდა და სამშვიდობო მისიასაც წარმატებით შეასრულებდა.

ამჟამად ეკატერინე უკვე ვიცე-პოლკოვნიკი და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილეა. მისი ძირითადი მოვალეობა

სამხედრო პერსონალის საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება და სხვადასხვა პროცესის კოორდინაციაა. ამავდროულად, იგი სამინისტროს გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის წევრიცაა.


სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავდაცვის ძალებში გენდერული სტერეოტიპები კიდევ უფრო თვალში საცემია. ვიცე-პოლკოვნიკი ამბობს, რომ გავრცელებული მცდარი წარმოდგენები ქალებისთვის დამატებით გამოწვევებს ქმნის. „სამხედრო ქალის დასაქმებისას აუცილებლად ისმის ხოლმე ფრაზები, რომ რამდენჯერაც შვილი ავად გაუხდება, იმდენჯერ სახლში გაიქცევა, მისი ზურგჩანთა აუცილებლად კაცების სათრევი გახდება და ა.შ. თითქოს თავიდანვე გადაწყვეტილია, რომ ქალები ამ სფეროში მნიშვნელოვანს ვერაფერს გავაკეთებთ, ამიტომ მუდმივად გვიწევს, საკუთარი შესაძლებლობებისა და წვლილის მტკიცება და ჩვენება, რომ დამატებით ტვირთს

არავისთვის წარმოვადგენთ“, - აღნიშნავს ვიცე-პოლკოვნიკი ხარაშვილი.

ეკატერინეს სამი შვილი ჰყავს. სამსახურისა და საოჯახო საქმეების შეთავსებაზე ხშირად ეკითხებიან, თუმცა თავად ამ ორ სფეროს ერთმანეთს არასდროს ადარებს: „სამხედრო ცხოვრებაც შვილივით გამოვზარდე და თავისი სიკეთეებითა თუ სირთულეებით ის ჩემთვის ძალიან ძვირფასია. დღეს რომ პროფესიას ვირჩევდე, ისევ სამხედრო კარიერაზე შევჩერდებოდი“, - ამბობს ის.

საყვარელი პროფესია კი ეკატერინესთვის უპირველესად სამშობლოსთან ყველაზე ახლოს დგომასა და მუდმივ განვითარებას ნიშნავს. ვიცე-პოლკოვნიკს თითოეული კარიერული საფეხური და წარმატება თავდაჯერებულობას მატებს, თუმცა მაშინვე შემდეგ ეტაპზე ფიქრს იწყებს. მიღწეულზე იგი არც ამჟამად ჩერდება და კვლავაც ახალი მიზნებისკენ ისწრაფვის.





“ ჩვენ უკვე დავამსხვრიეთ სტერეოტიპი, რომ ქალის ადგილი აქ არ არის. ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც მოსწონს და ბედნიერებას ანიჭებს. ჩემთვის ასეთი საქმე სამშობლოსთვის სამსახურია”.

კაკრალი ელენე გოროზია

რადიოჰერატორი

„დედიკო, როცა გავიზრდები, მეც ჯარისკაცი გავხდები“,- ამ ფრაზას ელენე გოროზიას 5 წლის ბიჭი განსაკუთრებული სიამაყით ამბობს ხოლმე. ელენე რადიოჰერატორია, ეროვნული გვარდიის საშტაბო ასეულის კავშირგაბმულობის ოცეულში მსახურობს და როგორც მისი შვილი, თავადაც სამხედრო სფეროს წარმომადგენლების ოჯახშია გაზრდილი. „ბავშვობიდანვე ფორმიანი ადამიანების გარემოში ვიყავი და ეს პროფესია მეც მინდოდა. 2008 წელს, როცა **ავვისტოს ომში**** ჩემი ძმა დაიღუპა, საბოლოოდ გადავწყვიტე, მისი საქმე გამეგრძელებინა“, - ამბობს ვაჰრალი ელენე გოროზია.

პროფესიის დაუფლებამდე ელენემ რამდენიმე კურსი გაიარა. ის ჯერ კადრების სამსახურში მუშაობდა, შემდეგ კი — სამტაბო ასეულის კავშირგაბმულობის ოცეულში. „სამხედრო სფერო ადვილი ზოგადად არ არის, მით უმეტეს, ქალისთვის. რთულია, რომ ვაცეცხს გაუთანაბრდე. სიძნელეების გადალახვაში პროფესიისადმი განსაკუთრებული სიყვარული დამეხმარა“, - აღნიშნავს ელენე.

მასთან ერთად, თავდაცვის ძალებში არაერთი ქალია. "ჩვენ უკვე დავამსხვრიეთ სტერეოტიპი,

რომ ქალის ადგილი აქ არ არის. ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც მოსწონს და ბედნიერებას ანიჭებს. ჩემთვის ასეთი საქმე სამშობლოსთვის სამსახურია“, - აღნიშნავს ვაპრალი გოროზია.

ელენე ფიქრობს, რომ კავშირგაბმულობა, განსაკუთრებით კი სამხედრო, მუდმივი განვითარების საშუალებას იძლევა, ამიტომ გასვლით სწავლებებში ხშირად მონაწილეობს. უნდა, რომ მეტი ცოდნა მიიღოს და პროფესიულად გაიზარდოს.



„სამხედრო სფერო ადვილი ზოგადად არ არის, მით უმეტეს, ქალისთვის. რთულია, რომ ვაცეცხს გაუთანაბრდე. სიძნელეების გადალახვაში პროფესიისადმი განსაკუთრებული სიყვარული დამეხმარა“.



„ ამ ასეულში სამსახური იმიტომ გადავწყვიტე, რომ მშვიდობიანობის დროსაც კი ჩემი ქვეყნისთვის საბრძოლო დავალება შემეხსრულებინა“.

სერჟანტი

ეკატერინე მარიკაშვილი

უფროსი გამნაღმველი

48 წლის სერჟანტი ეკატერინე მარიკაშვილი აღმოსავლეთის სარდლობის სამხედრო-საინჟინრო ბატალიონის საბრძოლო მასალების განადგურების (EOD) ასეულის მე-3 მსუბუქი ოცეულის უფროსი გამნაღმველის პოზიციაზე მსახურობს.

პროფესიული არჩევანი სერჟანტ მარიკაშვილს 90-იანების საქართველომ, **აფხაზეთის ომმა**** და მძიმე სამოქალაქო დაპირისპირებამ უკარნახა. „მაშინ გამიჩნდა სურვილი, რომ სამშობლოს კეთილდღეობაში ჩემი წვლილი შემეტანა“, - იხსენებს ის.

ეკატერინეს მოვალეობა განადმული ტერიტორიების შემონახვა და ხარისხის მონიტორინგია. მუდმივად საბრძოლო მასალებთან უნევს შეხება, რაც ერთ-ერთი ურთულესი მისიაა. „ამ ასეულში სამსახური იმიტომ გადავწყვიტე, რომ მშვიდობიანობის დროსაც კი ჩემი ქვეყნისთვის საბრძოლო დავალება შემესრულებინა“, - ამბობს სერჟანტი მარიკაშვილი და საკუთარი არჩევანით განსაკუთრებით ამაყობს.

ეკატერინეს პროფესია საზოგადოების მხრიდან ყოველთვის განსაკუთრებულ პატივისცემასა და დადებით განწყობას იწვევდა, თუმცა სამხედრო სფეროში გენდერული სტერეოტიპებიც არაერთხელ სმენია: „მთელ მსოფლიოში ქალების მიმართ ნდობა, მათი კარიერული დაწინაურება ნაკლებია. რა თქმა უნდა, ეს არასწორია, სიმამაცე და გამძლეობა სქესით არ უნდა ფასდებოდეს“, - ამბობს იგი და ამ სიმამაცეს თავადაც ყოველდღიურად, საქმით ადასტურებს.





„ მარტივი არ არის, სამხედრო იყო. ჩვენი ცხოვრების წესი სამოქალაქოსგან სრულებით განსხვავდება“.

უფროსი ლეიტენანტი თამუნა ჭიშკარიანი

ოცმეთაური

28 წლის უფროსი ლეიტენანტი თამუნა ჭიშკარიანი მე-4 მექანიზებული ქვეითი ბრიგადის 41-ე ქვეითი ბატალიონის ქვეითი ოცეულის B ქვეითი ასეულის მეთაურის მოადგილეა.

თამუნას სხვა პროფესიაზე არასდროს უფიქრია: საკუთარი თავი მუდამ მხოლოდ სამხედრო სფეროში წარმოედგინა. „ფორმა ყოველთვის მომწონდა. განსაკუთრებით ვაფასებდი ფორმიან ადამიანებსაც, რომლებიც მზად იყვნენ, სამშობლო საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეცვათ. 2008 წლის აგვისტოს ომმა*** ჩემი სურვილი კიდევ უფრო

გამძაფრა: საბოლოოდ გადამანწყვეტინა, ვყოფილიყავი სამხედრო და ფორმა ღირსეულად მეტარებინა“, - ამბობს თამუნა.

2015 წელს თამუნამ ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ჩააბარა და იუნკერი გახდა. სამხედრო საქმესთან ერთად, სამოქალაქო განათლებაც მიიღო და თავდაცვა და უსაფრთხოება შეისწავლა. აკადემიის დასრულების შემდეგ კი მან ქვეითი კურსი გაიარა და უკვე უფროსი ლეიტენანტის წოდებით, ოცეულის მეთაურად დაინიშნა.

ოჯახის წევრებმა თამუნას მომავალი პროფესიისა და მისწრაფების შესახებ ადრეული წლებიდანვე იცოდნენ და ხელსაც უწყობდნენ. „მართალია, უჭირთ ხოლმე, როცა მორიგე ვარ ან სწავლებას გავდივარ და ზოგჯერ სახლში 1 თვის განმავლობაშიც კი ვერ მივდივარ, მაგრამ მაინც სულ მხარს მიჭერენ. ვიცი, რომ ბევრი რამ, რაც სამხედროებისთვის სრულიად გასაგებია, სამოქალაქო პირებისთვის

ბუნდოვანია. ეს ბუნებრივიცაა: მარტივი არ არის, სამხედრო იყო. ჩვენი ცხოვრების წესი სამოქალაქოსგან სრულებით განსხვავდება“, - ამბობს უფროსი ლეიტენანტი ჯიშკარიანი.

გავრცელებული შეხედულება, რომ ქალებს ჯარში ფიზიოლოგიის გამო უჭირთ, თამუნასთვის სტერეოტიპია. ფიქრობს, რომ ორივე სქესის შემთხვევაში, წარმატებისთვის მთავარი ფაქტორია, შრომა, ფსიქოლოგიური მზაობა და განვითარებაზე მუდმივი მუშაობა. „ვერ ვიტყვი, რომ ჩემი სქესის გამო სირთულეები არ მქონია, მაგრამ ვის არ ჰქონია? თუმცა, უნდობლობა, რომ რადგან ქალი ვარ, რომელიმე დავალებას ვერ შევასრულებდი, არასდროს მიგრძნია“, - ჰყვება ოცმეთაური.

როგორც ყველა სამხედრო, უფროსი ლეიტენანტი ჯიშკარიანიც განვითარებაზე ფიქრობს: წინ ახალი კურსები და განსხვავებული გამოცდილებაა.



“ 2008 წლის აგვისტოს ომმა ჩემი სურვილი კიდევ უფრო გაამძაფრა: საბოლოოდ გადამანწყვეტინა, ვყოფილიყავი სამხედრო და ფორმა ღირსეულად მეტარებინა“.



“ ის, რასაც სხვები „კაცურს“ უწოდებდნენ, ჩემთვის მხოლოდ ადამიანურს ნიშნავდა. პროფესიასა და გმირობას სქესი როგორ შეიძლება ჰქონდეს?”

მაიორი

მაკა ყურფარაშვილი-საიმონსი

სამხედრო ექიმი

43 წლის მაიორი მაკა ყურფარაშვილი-საიმონსი შერეული საავიაციო ბაზის ექიმა.

ბავშვობიდან ესმოდა, რომ ქალებს სხვა პროფესიები შეეფერებათ, კაცებს კი — სხვა. პირველი პროტესტიც მაშინ გაუჩნდა. „ასეთი მითების არასდროს მჯეროდა. ის, რასაც სხვები „კაცურს“ უწოდებდნენ, ჩემთვის მხოლოდ ადამიანურს ნიშნავდა. პროფესიასა და გმირობას სქესი როგორ შეიძლება ჰქონდეს? ამ შინაგანი პროტესტის გამო, ორი ურთულესი საქმე — ექიმობა და სამხედრო მოსამსახურეობა გავაერთიანე“, - ამბობს მაკა.

2001 წელს, სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მაკამ მუშაობა დაბა ვაზიანის ამბულატორიაში დაიწყო. პირველად ფორმიანი ქალიც იქაურ სამხედრო ბაზაზე წახა. „სუნთქვა შემეკრა, ისე მომინდა მის ადგილას ყოფნა. ზუსტად ვიცოდი, სახლში ამას კარგი არაფერი მოჰყვებოდა, მაგრამ სურვილი იმდენად ძლიერი იყო, ჩემად მაინც გავარკვიე, რა დამჭირდებოდა სამხედრო ექიმობისთვის“, - იხსენებს მაკა.

უნივერსიტეტის დამთავრებიდან 9 თვეში მაკა პირველ ქვეით ბრიგადაში ექიმ-სტომატოლოგად აიყვანეს. რთული საქმის შესრულება უწევდა: ორი პროფესია ერთმანეთისთვის ბედმინვნით უნდა შეეთავსებინა, შვილზე ბრუნვაც დიდ ენერჯიასა და პასუხისმგებლობას მოითხოვდა, თუმცა გადანყვეტილება არასდროს უნანია. „დედას კი არ უნდოდა, რომ ეს პროფესია ამერჩია, მაგრამ მერე მხარს ძალიან მიჭერდა. მის გარეშე, ალბათ, გამიჭირდებოდა“, - ამბობს მაკა.

მას შემდეგ ბევრი ყაზარმული რეჟიმი, პოლიგონი, მივლინება, პაციენტი და ოთხი რთული

სამშვიდობო მისია იყო. მაიორი ყურფარაშვილი ჯერ ერაყში, შემდეგ კი სამჯერ ავღანეთში იმყოფებოდა. მომავალი მეუღლე ლარი საიმონსიც ერთ-ერთი ასეთი მისიისას გაიცნო.

მაკა ფიქრობს, რომ ადრე, როცა ამ საქმეს თავად იწყებდა, ქალისთვის სამხედრო კარიერა და წინსვლა გაცილებით რთული იყო, დროსთან ერთად კი, ბევრი რამ შეიცვალა. თუმცა, საყვარელი პროფესიების ერთგულება უცვლელი დარჩა: „ოცი წელია, ორი ფორმა მაცვია და ორ საყვარელ საქმეს ვემსახურები. რაც დრო გადის, განსაკუთრებულად ვგრძნობ, რამხელა პატივია, იდგე შენი ქვეყნის სადარაჯოზე და თუნდაც უმცირესი წვლილის შეტანა შეგეძლოს, როგორც ექიმს, როგორც ოფიცერს. ამაყი ვარ, რომ ეს შანსი მომეცა“, - ამბობს მაკა.

სამხედრო კარიერაში მომავლის დაგეგმვა რთულია. მაიორი ყურფარაშვილი სულ გამოწვევების მოლოდინშია. იცის მხოლოდ ის, რომ იქნება იქ და იმ დროს, სადაც მისი საქმე დასჭირდებათ.





„როცა ზრდასრული გავხდი, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ აუცილებლად სამხედრო სფეროში წავიდოდი“.

მასტერ-სერჟანტი
თამარ ჭაავა

ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სერჟანტი

38 წლის თამარ ჭაავა აფხაზეთიდან დევნილია. მამაც იმ ომში** დაედუჰა. მის პროფესიულ არჩევანზე დიდი გავლენა სწორედ ბავშვობის ტრაგიკულმა მოვლენებმა იქონია.

„ეს ყველაფერი ჩემს მომავალსა და ცხოვრების წესზე აისახა. როცა ზრდასრული გავხდი, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ აუცილებლად სამხედრო სფეროში წავიდოდი“, - ამბობს თამარი.

ნათესავებსა და ახლობლებს ამ გადაწყვეტილებისთვის მხარი დიდად არ დაუჭერიათ. ფიქრობდნენ, რომ ქალის ადგილი ჯარში არ იყო, თუმცა თამარმა საქმით აჩვენა, რომ ქალებს ყველაფერი შეუძლიათ: ექიმობაც, მასწავლებლობაც, დიასახლისობაც და სამშობლოს დაცვაც.

„თანდათან აღმოჩნდა, რომ ჩემნაირი ბევრია და ეს, რა თქმა უნდა, საამაყოა. მაშინ, 2005 წელს, თავდაცვის სფეროში გენდერული თანასწორობა ასეთი აქტუალურიც არ იყო. ახლა ამ თემას სულ სხვა ყურადღება ექცევა. ვფიქრობ, ჩვენმა ევრო-ატლანტიკურმა მისწრაფებამაც დიდი როლი ითამაშა და ის სტერეოტიპების დამსხვრევამი ახლაც ძალიან გვეხმარება“, - აღნიშნავს სერჟანტი თამარ ჭაავა.

2005 წლიდან თამარს არაერთი თანამდებობა ეკავა. მუშაობდა ოპერატიული და სწავლებების დაგეგმარებების, მონიტორინგისა და შეფასების კუთხით. ამჟამად კი ის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) S-3 საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სერჟანტია.

თამარს ორი შვილი ჰყავს. მისი ოჯახის წევრებიც — მეუღლე და და თავდაცვის ძალებს წარმოადგენენ. თავად კარიერულ წინსვლაზე ფიქრობს: სურს, მომდევნო სამხედრო საკარიერო კურსი დაასრულოს და წოდებით მთავარი სერჟანტი გახდეს.





“სამხედრო საქმე კაცებით დომინირებული სფეროა, ამიტომ ჩემნაირი ქალების გამოცდილება და განვლილი გზა სხვა გოგოებისა და ქალებისთვის მნიშვნელოვანია”.

მაიორი

ზოია კურტანიძე

სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის კარიერის მენეჯერი, გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის გენდერის მრჩეველი

35 წლის ზოია კურტანიძე თავდაცვის ძალებში 2007 წლიდან მსახურობს. პროფესიით ინგლისური ენის მთარგმნელ-რეფერენტს, ჯარში წასვლა სატელევიზიო პროექტმა გადააწყვეტინა. რეალური შოუ „ყაზარმა“, რომლის ერთ-ერთი მონაწილე ზოიაც იყო, სამხედრო ცხოვრებას შეეხებოდა. სწორედ იქ მიხვდა, რომ ეს სფერო ძალიან მოსწონდა. „გოგოებს შორის შოუ ყველაზე ბოლომ დავტოვე და მაშინვე სამხედრო აკადემიაში ჩავაბარე. 19 ნოემბერს უკვე 15 წელი შესრულდება, რაც მხრით საქართველოს დროშას, გულითა

და გონებით კი ჩემი ქვეყნისა და საქმის წინაშე უზარმაზარ პასუხისმგებლობას ვატარებ”, - ამბობს ზოია.

ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება 2008 წლის ივნისში მიიღო, პირველი კარიერული ნაბიჯები კი საჰაერო თავდაცვაში გადადგა. საბენიტო-სარაკეტო ქვედანაყოფში ინჟინერ-ოპერატორად მსახურობდა, როცა **ავვისტოს ომი***** დაიწყო. „ახალბედა ლეიტენანტი, როგორც საბრძოლო ოფიცერი, ომში წავედი და უკან დიდი გამოცდილებით დავბრუნდი. 3 წლის შემდეგ კი საშტაბო საქმიანობით დავინტერესდი. მსურდა, უფრო მეტი მესწავლა, განათლება სხვა მიმართულებითაც მიმეღო და საბრძოლო გამოცდილება სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამომეყენებინა”, - იხსენებს მაიორი ზოია კურტანიძე.

საზოგადოების განწყობა მისი, როგორც სამხედრო ქალის მიმართ ყოველთვის დადებითი იყო. ნაცნობები თუ უცნობები დიდ ძალასა და მოტივაციას აძლევდნენ. „სამხედრო საქმე კაცებით დომინირებული სფეროა, ამიტომ ჩემნაირი ქალების გამოცდილება და განვლილი

გზა სხვა გოგოებისა და ქალებისთვის მნიშვნელოვანია. ჩემი ცხოვრების წესით იმ დრომოჭმული სტერეოტიპების დამსხვრევას ვცდილობ, რომლებიც ქალებს სამხედრო კარიერის არჩევასა და სამომავლო წარმატების მიღწევაში უშლის ხელს“, - აღნიშნავს ზოია.

მაიორი კურტანიძე ამჟამად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრში კარიერის მენეჯერი და გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის გენდერის მრჩეველია. შარშან მან გენდერის კვლევის მაგისტრის ხარისხიც მიიღო და ახლა ამ ცოდნას სამხედრო სფეროში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვისთვის იყენებს.

„ქვეყნის სამსახურში ყოფნა მეამაყება და მინდა, გენდერული თანასწორობის სადარაჯოზე დგომითაც ვიამაყო — იმ კონტრიბუციით, რომელიც ჩემს თანამედროვე თუ მომავალ სამხედრო ქალებს ქართულ ჯარში გენდერული შეზღუდვების გარეშე სამსახურში დაეხმარება“, - ამბობს ზოია.



“ქვეყნის სამსახურში ყოფნა მეამაყება და მინდა, გენდერული თანასწორობის სადარაჯოზე დგომითაც ვიამაყო”.



“ საკუთარი მცირე წვლილის შეტანა საქართველოს გამთლიანებაში მეც მსურს. ამაყი ვარ, რომ ფორმა მაცვია და ჩემი ქვეყნის ღირსებას ვიცავ”.

პირველი კლასის რიგითი **ნადია ბერიძე**

მძღოლი

28 წლის ნადია ბერიძე პირველი და ერთადერთი ქალი მძღოლია საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში.

ნადია საჩხერეში დაიბადა და გაიზარდა, გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელ პერევიდან რამდენიმე კილომეტრში. 16 წლის იყო, როცა **აგვისტოს ომის***** დროს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ადამიანები ნახა და სამხედრო სამსახურიც პირველად აზრად მაშინ მოუვიდა.

„ამ ხალხის მდგომარეობა თვალებიდან დღემდე არ ამომდის. ფორმის ჩაცმა და წასვლა მომინდა, ოღონდ სად, კარგად არც ვიცოდი. წლების შემდეგ კიდევ უფრო დავაფასე ისინი, ვინც თავდაცვის ძალებში მსახურობენ და ქვეყნის სადარაჯოზე დგანან. საკუთარი მცირე წვლილის შეტანა საქართველოს გამთლიანებაში მეც მსურს. ამაყი ვარ, რომ ფორმა მაცვია და ჩემი ქვეყნის ღირსებას ვიცავ“, - ამბობს ნადია.

ნადია პირველი კლასის რიგითია. ჰყავს მეუღლე, რომელიც ასევე მის ნაწილში მსახურობს და 2 შვილი. სამხედრო მანქანას ყოველდღიურად მართავს და თითქმის ყოველდღიურადვე აწყდება გაოცებას — რატომ ზის ქალი სამხედრო მანქანის საჭესთან? თუმცა, აღნიშნავს, რომ მის საქმიანობასთან დაკავშირებით

აღფრთოვანებაც ხშირია და ეს განსაკუთრებულ მოტივაციას აძლევს.

„დღესდღეობით შეიარაღებულ ძალებში უკვე საკმაოდ ბევრი ქალი მოდის, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. თუმცა, ამ მიმართულებით კვლავაც ბევრია გასაკეთებელი. მინახავს ქალი სამხედროები, რომლებსაც რადგან ქალები არიან, საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის უფრო მეტი ბრძოლა მოუწიათ“, - ჰყვება ნადია.

მისი გეგმა კარიერული წინსვლაა. „ვეცდები, მიზანს მივაღწიო თუნდაც იმიტომ, რომ ქალი ვარ და იმავე უფლებებითა და შესაძლებლობებით დავიბადე, როგორებიცაა — კაცი“, - ამბობს ნადია.





“ ქალებს გაცილებით მეტი შრომისა და ენერჯის ჩადება გვინევს, რათა დავამტკიცოთ, რომ ვიმსახურებთ იქ ყოფნას, სადაც ვართ: შეგვიძლია, ვიყოთ მეთაურებიც და მებრძოლებიც”.

უფროსი ლეიტენანტი **ნატია გოგალაძე**

საბრძოლო ოცეულის მეთაური

24 წლის უფროსი ლეიტენანტი ნატია გოგალაძე მე-11 ქვეით ბატალიონში საბრძოლო ოცეულის მეთაურია.

ნატია თავდაცვის ძალებში 2014 წლიდან მსახურობს. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა თავდაცვის აკადემიაში ღია კარის დღეზე მივიდა და სამხედრო საქმით აღფრთოვანდა. პროფესიის არჩევისას უკვე იცოდა, რომ დიდი შრომისთვის უნდა ყოფილიყო მზად როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.

ხატიამ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამა დაამთავრა, შემდეგ კი უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსი ქვეითის სპეციალობით გაიარა.

განსაკუთრებით შრომატევადი ქვეითი ოცეულის მეთაურობა აღმოჩნდა. „სამხედროებს ვერ წარმოედგინათ, რომ კაცების საბრძოლო ოცეულის მეთაური ქალი უნდა ყოფილიყო. დიდი შრომა დამჭირდა მათ დასარწმუნებლად, რომ ამ პოზიციას ნამდვილად ვიმსახურებდი. ჩვენ, ქალებს, გაცილებით მეტი შრომისა და ენერჯის ჩადება გვინევს, რათა დავამტკიცოთ, რომ ვიმსახურებთ იქ ყოფნას,

სადაც ვართ: შეგვიძლია, ვიყოთ მეთაურებიც და მებრძოლებიც“, - ამბობს უფროსი ლეიტენანტი.

არაერთი შეთავაზების მიუხედავად, საშტაბო საქმიანობაზე სულ უარს ამბობს. ფიქრობს, რომ ეს მისი პრინციპული არჩევანია. „დიახ, მიწვევს სიცივეში ყოფნა, მძიმის აწევა, მაგრამ ეს ჩემი გადანწყვეტილებაა. მე ჩემი მიზნის მიღწევისკენ მივყვები გზას“, - აღნიშნავს ხატია.

ამჟამად ქვედანაყოფთან ერთად სხვადასხვა სწავლებას გადის. უნდა, რომ მეტი ცოდნა და გამოცდილება დააგროვოს, რათა სამომავლოდ მართლაც უფრო დიდი ზომის ქვედანაყოფის მეთაური გახდეს.



„*დიახ, მიწვევს სიცივეში ყოფნა, მძიმის აწევა, მაგრამ ეს ჩემი გადანწყვეტილებაა. მე ჩემი მიზნის მიღწევისკენ მივყვები გზას*“.

შენიშვნები

* 9 აპრილის ტრაგედია

1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირის ნგრევის პირობებში, საქართველოში ანტისაბჭოთა მოძრაობას დაედო საფუძველი. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილმა მშვიდობიანმა დემონსტრაციებმა, რომლებსაც ასობით ათასი მოქალაქე შეუერთდა, პიკს აპრილში მიაღწია. 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული მორიგი მიტინგი მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევითა და მსხვერპლით დასრულდა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილები მშვიდობიან მოქალაქეებს, რომელთა შორის უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ, ფიზიკურად გაუსწორდნენ, რის შედეგადაც 21 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 16 ქალი, 427 კი დაიჭრა, მოინაშლა და დაშავდა. მოგვიანებით, 1991 წელს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სიმბოლურად სწორედ 9 აპრილს გამოაცხადა.

** აფხაზეთის ომი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შეიარაღებულმა კონფლიქტებმა იჩინა თავი. კერძოდ, აფხაზეთში, 1992-1993 წლებში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად, 10 ათასზე მეტი ქართველი დაიღუპა, ასეულობით უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 300 ათასამდე ადამიანი კი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და ამ დრომდე საკუთარ ქვეყანაში დევნილობაში ცხოვრობს.

*** აგვისტოს ომი

1980-იანი წლების ბოლოს ცხინვალის რეგიონში კონფლიქტი გაღვივდა, რომელიც 1991-1992 წლებში ომში გადაიზარდა. სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით, აღნიშნულ კონფლიქტს 1000-მდე ადამიანი ემსხვერპლა, 60 ათასზე მეტი კი დევნილად იქცა. 2008 წლის აგვისტოში, ცხინვალის რეგიონში, დაძაბულობის ახალი კერა წარმოიშვა. უმაღლეს წერტილს მან რუსეთ-საქართველოს ომის სახით მიაღწია, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა და 2008 წლის 16 აგვისტოს, საფრანგეთისა და ევროკავშირის მაშინდელი თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის რუს კოლეგას, პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს შორის ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, 412 ქართველი დაიღუპა, 1700-ზე მეტი დაშავდა, 138 ათასი კი იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა. მათი ნაწილი მეორედ გახდა დევნილი და საკუთარ სახლში დაბრუნებას დღემდე ვერ ახერხებს.



საქართველო, თბილისი, 0179;
ფალიაშვილის ქუჩა 87, ოფისი N4,
ტელ: (+995) 32 2 22 06 04 / 2 22 08 70

 georgia.unwomen.org
 facebook.com/unwomengeorgia
 [@unwomengeorgia](https://twitter.com/unwomengeorgia)